პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №
31 იანვარი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №160 განკარგულება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის
№ ...... განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის სამუშაო გ ე გ მ ა

| № | განსახილველი საკითხები | საკითხის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირი, საკითხის წარმომდგენი პირი | საკითხის განხილვის დრო |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | **I კვარტალი** | | |
| 1. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი | იანვარი |
| 2. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | იანვარი |
| 3. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი | თებერვალი |
| 4. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | თებერვალი |
| 5. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობისა და მისი შეფასების შესახებ | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი | მარტი |
| 6. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | მარტი |
| | **II კვარტალი** | | |
| 7. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წელი, 2024 წლის 1-ლი კვარტალი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი | აპრილი |
| 8. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | აპრილი |
| 9. | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი | მაისი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2022 წლის ივნისი - 2024 წლის 1-ლი კვარტალი) | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი | |
| 10. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | მაისი |
| 11. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ (მიმდინარე მოწვევის პერიოდი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე | ივნისი |
| 12. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | ივნისი |
| | **III კვარტალი** | | |
| 13. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე | ივლისი |
| 14. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წელი - 2024 წლის 1-ლი, მე-2 კვარტალი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი | ივლისი |
| 15. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | ივლისი |
| 16. | „2024-2025 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ინფორმაციის თაობაზე | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი | აგვისტო |
| 17. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | აგვისტო |
| 18. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის სექტემბერი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე | სექტემბერი |
| 19. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის სექტემბერი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | სექტემბერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 20. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | სექტემბერი |
| **IV კვარტალი** | | | |
| 21. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის ოქტომბერი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე | ოქტომბერი |
| 22. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის ოქტომბერი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | ოქტომბერი |
| 23. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | ოქტომბერი |
| 24. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წლის ნოემბერი - 2024 წლის ნოემბერი) | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | ნოემბერი |
| 25. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | ნოემბერი |
| 26. | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი<br><br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი | დეკემბერი |
| 27. | მიმდინარე საკითხები | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო | დეკემბერი |

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ე.ყორყოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

^

**განმარტებითი ბარათი**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო
გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტთან
დაკავშირებით

1. **განკარგულების მიღების მიზეზი:**

განკარგულების მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესრულება.

1. **განკარგულების მიღების მიზანი:**

განკარგულებით განსაზღვრული აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა და მათი შეფასება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერებას, საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაზრდას.

2. **განკარგულების გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

წინამდებარე განკარგულების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

3. **განკარგულების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. **განკარგულების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

5. **საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი:**

საკრებულოს აპარატის უფროსი, ივანე ქორქოლიანი.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი